

განცხადება

შემოქმედებითი კონკურსის „საქართველოს ეროვნული ბანკი 100“ შესახებ

განმცხადებელი

საქართველოს ეროვნული ბანკი. მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქ. N2 ცხელი ხაზი: (995 32) 2 406 406 ელ. ფოსტა: info@nbg.ge ვებგვერდი: www.nbg.gov.ge ფეისბუქ გვერდი: <https://www.facebook.com/NationalBankofGeorgia/>

კონკურსის მიზანი

ახალგაზრდა თაობაში ფინანსური წიგნიერების დონის ამაღლება საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ერთ - ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. სწორედ ადრეულ ასაკში მიღებული ფინანსური ცოდნა და განვითარებული ჯანსაღი ქცევები და დამოკიდებულებები დაეხმარება ახალგაზრდებს სწორი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებასა და პასუხისმგებლიან მომხმარებლებად ჩამოყალიბებაში.

ბავშვებსა და ახალგაზრდებში ფინანსური განათლების გავრცელების მიზნით, ეროვნული ბანკი, დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, ყოველწლიურად ერთვება „გლობალურ ფულის კვირეულში“, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაცია Child and Youth Finance International-ის (CYFI) ორგანიზებით, მსოფლიოს მასშტაბით, 130 - ზე მეტ ქვეყანაში აღინიშნება. კვირეულის ამოცანას ფინანსური, ეკონომიკური და სამეწარმეო საკითხების პოპულარიზება წარმოადგენს.

2019 წლის „გლობალური ფულის კვირეული“ **25 - დან 31 მარტის** ჩათვლით გრძელდება. კვირეულის ფარგლებში, ახალგაზრდა თაობის ფინანსური საკითხებით დაინტერესების და ქართული ფულის და ეროვნული ბანკის ისტორიისა და მნიშვნელობის შესახებ დიალოგის წახალისების მიზნით, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ 2019 წელს საქართველოს ეროვნული ბანკი 100 წლის იუბილეს აღნიშნავს, ეროვნულმა ბანკმა, განათლების, მეცნიერების, სპორტისა და კულტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით, II-VII კლასის მოსწავლეებისთვის ქართული ფულის თემაზე შემოქმედებითი ღია კონკურსის მოწყობა გადაწყვიტა. კონკურსის სახელწოდებაა: „საქართველოს ეროვნული ბანკი 100“.

კონკურსის ფარგლებში, მონაწილეები შეძლებენ შემოქმედებითი გზით წარმოაჩინონ საკუთარი ხედვა, მოსაზრებები და დამოკიდებულება ქართული ფულის მნიშვნელობის, ისტორიისა და მომავლის, ასევე საქართველოს პირველი ცენტრალური ბანკის მნიშვნელობის, ფუნქციებისა და ზოგადად, ფინანსური საკითხების ირგვლივ.

აღსანიშნავია, რომ შარშან, „გლობალური ფულის კვირეულის“ ფარგლებში, ეროვნულმა ბანკმა, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ჩართულობით, პირველად განახორციელა ხატვის ღია კონკურსი ქართული ფულის თემაზე. 2018 წლის კონკურსის შესახებ ინფორმაცია და გამარჯვებული ნამუშევრები შემდეგ ბმულზე შეგიძლიათ იხილოთ: <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3309>.

შემოქმედებით ღია კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ნამუშევრები უნდა წარმოადგინონ ქვემოთ მოცემული პირობების მიხედვით.

კონკურსის ტიპი

ღია კონკურსი: კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ქვეყნის მასშტაბით II-VII კლასის ნებისმიერ მოსწავლეს, რომელიც აკმაყოფილებს ქვემოთ მოცემულ საკონკურსო პირობებს და წარმოადგენს ნამუშევარს დადგენილ ვადებში.

კონკურსის პირობები

საკონკურსო პროექტის აღწერილობა

კონკურსსანტს მოეთხოვება კონკურსისთვის ნამუშევრების მომზადება - წარმოდგენისას გაითვალისწინოს შემდეგი პირობები:

1. კონკურსის თემაა ქართული ფული და საქართველოს ეროვნული ბანკის 100 წლის იუბილე.
2. კონკურსსანტმა უნდა დახატოს, შეიმუშაოს დიზაინი/ანიმაცია, გამოძერწოს, ან მისთვის სასურველი ნებისმიერი მასალისგან შექმნას **100 ლარის** ნომინალის **ბანკნოტი** ან **მონეტა**.
3. კონკურსსანტმა ნამუშევრები უნდა შექმნას საკუთარი დიზაინით. კონკურსის ფარგლებში, არსებული დიზაინის მქონე ბანკნოტები და მონეტები არ დაიშვება.
4. კონკურსსანტს შეუძლია წარმოადგინოს ერთზე მეტი ნამუშევარი.
5. კონკურსსანტმა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ხელმოწერის ადგილას უნდა განათავსოს საკუთარი ხელმოწერა.
6. მხატვრული შესრულების მოთხოვნები:
 - დიზაინი უნდა შეიცავდეს შემდეგ სავალდებულო ელემენტებს:
 - ვალუტის დასახელებას ქართულ ენაზე და ნომინალურ ღირებულებას ციფრებით - **100 ლარი**
 - ემიტენტი ქვეყნის დასახელებას ქართულ ენაზე - **საქართველო**
 - გამოშვების წელს - **2019**
 - ლარის სიმბოლოს - **ლ**
7. ტექნიკური შესრულების მოთხოვნები:
 - ნახატის წარდგენის შემთხვევაში ნამუშევარი უნდა შესრულდეს მინიმუმ A4 ზომის ფურცელზე/ტილოზე.
 - ნამუშევრის შესრულებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი მასალა: აკვარელი, ზეთის საღებავი, ფანქარი, ფლომასტერი, თიხა, თაბაშირი, ხე, ლითონი, და/ან მონაწილისთვის ხელსაყრელი სხვა ნებისმიერი მასალა.

ნაშრომების საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოდგენის ფორმა და ვადა:

1. კონკურსსანტმა, საკონკურსო მასალა უნდა წარმოადგინოს თანდართულ განაცხადთან ერთად, რომელიც არ უნდა იყოს მოცემული იმავე ფურცელზე, რომელზეც ნახატია, და რომელიც აუცილებლად უნდა შეიცავდეს:
 - კონკურსსანტის სახელსა და გვარს;
 - განაცხადის შევსების თარიღს;

- კონკურსანტის მშობლის/სხვა კანონიერი წარმომადგენლის სახელსა და გვარს, მის საკონტაქტო ტელეფონის ნომერს და ხელმოწერას;
 - კონკურსანტის ასაკს, კლასს და სკოლას;
 - კონკურსანტის მისამართს;
 - განაცხადის წარმოდგენით კონკურსანტი/მისი კანონიერი წარმომადგენელი ავტომატურად ეთანხმება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კონკურსის „საქართველოს ეროვნული ბანკი 100“ პირობებს.
2. კონკურსანტს ნამუშევრების ეროვნულ ბანკში წარმოდგენა შეუძლია 2 გზით:
 - 1) წარმოადგინოს საკუთარი ნამუშევარი უშუალოდ საქართველოს ეროვნული ბანკის სათაო ოფისში, მისამართზე: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. #2 **არაუგვიანეს 19 მარტისა ან**
 - 2) წარმოადგინოს საკუთარი ნამუშევარი საკუთარი სკოლის ადმინისტრაციაში **არაუგვიანეს 11 მარტისა**, რის შემდეგად სკოლა შესაბამისი რესურსცენტრისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დახმარებით, უზრუნველყოფს ნამუშევრის ეროვნული ბანკისთვის მოწოდებას.
 3. თითოეულმა სკოლამ მოსწავლეებისგან შეკრებილი ნამუშევრები უნდა ჩააბაროს შესაბამის **რესურსცენტრს 14 მარტისთვის. რესურსცენტრი**, თავის მხრივ, შეგროვებულ ნამუშევრებს გადასცემს **განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს** ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტს **არაუგვიანეს 19 მარტისა**. მიღებულ ნამუშევრებს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო გადასცემს ეროვნულ ბანკს.
 4. კონკურსის ობიექტურობიდან და გამჭვირვალობიდან გამომდინარე, ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლების შვილებს, ასევე, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ამ სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ-ების თანამშრომლების შვილებს.

ნამუშევრების განხილვისა და გამარჯვებული მონაწილეების გამოვლენის ვადები და პირობები:

1. საკონკურსო ნამუშევრების განხილვა და 20 გამარჯვებული მონაწილის გამოვლენა მოხდება 18-22 მარტის კვირაში კომპეტენტური ჟიურის მიერ, რომელშიც შევლენ საქართველოს ეროვნული ბანკისა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენლები და მოწვეული ექსპერტები.
2. გამარჯვებული ნამუშევრების გამოფენა მოხდება ეროვნული ბანკის ფოიეში.
3. გამარჯვებულ მონაწილეებს 25-31 მარტის კვირაში ეროვნული ბანკი უმასპინძლებს ყვარელში, ფულის მუზეუმში, სადაც ბავშვები გაეცნობიან ფულის ისტორიას, მოისმენენ საინტერესო ლექციას ფინანსური განათლების თემაზე და მიიღებენ სიმბოლურ საჩუქრებს.
4. გამარჯვებული ნამუშევრები, მათი ავტორების და ავტორთა მშობლების თანხმობის საფუძველზე, შესაძლოა გამოქვეყნებულ იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის წლიურ ანგარიშში ან სხვა პროექტებსა და/ან გამოცემებში.

სასარგებლო ბმულები:

- ინფორმაცია განახლებული ქართული ლარის შესახებ შეგიძლიათ ეროვნული ბანკის მიერ სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილ ვებგვერდზე იხილოთ: <http://ganakhlebulilari.ge/>.

- საინტერესო ფაქტები ქართული ბანკოტებისა და მონეტების შესახებ შეგიძლიათ ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმის ვებგვერდზე მოიძიოთ: <https://www.moneymuseum.nbg.gov.ge/index.php?m=8>.
- საბავშვო ბროშურა ფულის ისტორიის შესახებ შეგიძლიათ შემდეგ ბმულზე მოიძიოთ: https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/efse/sb/history_of_money_ge_combined.pdf.